პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 14 მარტი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 56 (744) 1 და 2 კ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელს. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ. სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განც ხადებები მორიგნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე

კვირას, 15 მარტს, ამხ. ვლ. ი. ლენინის სახელობის საოპერო თეატრში

სრულ 10 საათზე შესდგება ტფილისის სამაზრო—საქალაქო საბჭოთა ყრილობის კომფრაქციის სხდომა.

ტფილისის მე-5-თე მოწვევის საბჭოს პარტიის წევრ. დეპუტატების და მაზრის დელეგატების დასწრება საჭიროდ ითვლება.

შესვლა დროებითი მანდატებით და პარტ-ბილეთებით.

კომფრაქციის ბიურო

სუნ-იატ-სენის სიკვდილი.

ჩინეთის დედაქალაქში გარდაიცვალა ჩინეთის მშრომელთა მასების ეროვნული ბელადი, ცნობილი რევოლიუციონერი ექიმი სუნ-იატ-სენი.

სუნ-იატ-სენი იყო ეგრედწოდებულ გომინდანის პარტიის ფუძემდებელი, რომელიც მეფობრობს ჩინეთის ეროვნულ-რევოლიუციონურ მოძრაობას. დღიდან თავისი გამოსვლისა საზოგადოებრივ— პოლიტიკურ ოლეგწყობის ასპარეზზე სუნ-ატ-სენი მუდამ წარმოადგენდა ევოლიუციონურ მიმართულებას ჩინეთის სინამდვილეში. მან ადიდესი როლი ითამაშა 1911 ლის ჩინეთის რევოლიუციაში, რომელმაც ბოლო მოუღო მონარქიას.

მაგრამ სუნ-იატ-სენი დაუძლებელი მტერი იყო ,,ორა თუ ორტო მონარქიის, არამედ უცხოელ ბატონობისაც, რომელიც თავისუფლად დათარეშობენ და ეხლაც დაპარაშუბენ ინეთის ტერიტორიაზე და სჩაგავენ მშრომელთა მასებს. სუნ-იატ-სენი შეურიგებელი ტერი იყო უცხოელ იმპერიალიზმის და სასტიკად იბრძოდა ინეთის მათი ბატონობისაგან ასნთავისუფლებლად. სუნ-ატ-სენის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ ადმოცენდა და ალმოჩენდა გომინდანის პარტია, რომლის პროგრამის უმეტესი სურვილს შეიცავს ჩინეთის განთავისუფლება უცხოელთა იმპერიალიზმის მონობისაგან და დამყარება „სოციალიზმის, ნაციონალიზმის და დემოკრატიზმის“.

უკვე ეს გარემოება ამტკიცებს იმას, რომ გომინდანის პარტიას ვერ აქვს ერთი ჩამოყალიბებული პროგრამა, არამედ ის მეტის მეტად ბუნდოვანია განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც ის ეხება ჩინეთის მომავალ საზოგადოებრივ წყობილების საკითხს. მაგრამ ერთი კი უდავო და აშკარაა. დღევანდელ მომენტში ჩინეთის სინამდვილეში გომინდანის პარტია არის ერთად ერთი რევოლიუციონური ძალა, რომელიც თავგამოდებული იბრძვის ჩინეთის თავისუფლებისათვის. სუნ-იატ-სენის სიკვდილი უდიდესი დანაკლისია ჩინეთის მშრომელთათვის განსაკუთრებით დღეს, როცა ჯერ კიდევ ის გმინავს უცხოელ იმპერიალისტების მონობის მძიმე უღლის ქვეშ. მეტად სანაღვლოა სუნ-იატ-სენის დაკარგვა საბჭოთა კავშირისათვის, ვინაიდან მან დაკარგა მისი სახით საუკეთესო მეგობარი და თანამებრძოლი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა სუნ-იატ-სენი არ იყო კომუნისტი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ მიუხედავად ამისა ის იშვიათი რევოლიუციონერი იყო. მის გულში მუდამ ფეთქდა მშრომელთა ხალხის სიყვარული.

ის დიდ პატივს სცემდა ლენინს, კომპარტიას და მთელ საბჭოთა კავშირს. სიკვდილის წინ თავის მიმართვაში საბჭოთა კავშირისადმი მან ნათლად გამოხატა ყოველივე ეს. თავის პარტიას და მთელ ჩინეთის მშრომელთ მან უანდერძა მეტ-ოდრო ძმურ კავშირში იყონ საბჭოთა ხელისუფლებასთან და არას დროს არ გაწყვეტონ ის მასთან. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ რომ ჩინეთის ხალხი და გომინდანი მარად ერთგულნი დარჩება თავისი ბელადის ანდერძისა. მოკვდა სუნ-იატსენი.

მაგრამ მისი იდეა ჩინეთის განთავისუფლებაზე უცხოელ მტაცებლების კლანჭებისაგან არ მომკვდარა და გიმარჯვებს.

,,ITITELI ARMIA IBRZOLS MXOLOOD MSROMELTA DA DAPAPARULTA INTERESEBS.

საბჭოთა ხელისუფლება მუშამ შვიდობიანობის და ზავის ოგული დამცველია. ეს არა ორხელ და ორხელ დაუმტკიცია მას საქმით. წითელი არმია არა დამპყრობ, არამედ მუშების და გლეხების მონაპოვართა დასაცავ ძალას წარმოადგენს. ამიტომაც წითელი არმიის თითეული ნაბიჯი მუდამ ოქტომბრის რევოლიუციის ინტერესებიდან გამომდინარეობს. წითელი-არმია არასდროს არ იპყრობდა, არამედ კაპიტალისტების და მემამულეების მონობიდან ანთავისუფლებდა მშრომელთ.

ყოველივე ზემონათქვამი საუკეთესო მაგალითია წითელი არმიის მიერ გარე-მონღოლეთის საზღვრების დატოვება. საქმე შემდეგშია. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს გარე—მონღოლეთი შეიქმნა თეთრგვარდიელთა ძალების სამობილიზაციო ადგილად. ყველა ჯურის რუსი რევოლიუციონერები აქ იყრიდენ თავს, აწყობდენ კონტრ-რევოლიუციონურ რაზმებს და თავს ესხმოდენ საბჭოთა რესპუბლიკას. ამასთანავე ისინი საშინლად სძარცვავდენ ადგილობრივ მცხოვრებ—მონღოლებს და სასტიკად ავიწროებდენ მათ. თეთრ-გვარდიელთა თავშეგებულ თარეშმა იძულებული გაბადა მონღოლები მიემართათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ვინაიდან მათ არ ყავდათ სათანადო შეიარაღებული ძალა.

მუშურ—გლეხურ ხელისუფლებამ გაგზავნა იქ წითელი ჯარის ნაწილები, რომლებმაც სულ მცირე ხნის განმავლობაში გაანადგურეს თეთრგვარდიელები და დამყარეს მშვიდობიანობა ამ მხარეში.

წითელი-არმიის გარე—მონღოლეთში შესვლამ, რასაკვირველია დიდი აღშფოთებაში მოიყვანა იმპერიალისტები. მთ ჩვეულებრივად დაიწყეს ყაყანი „წითელ იმპერიალიზმზე“, საბჭოთა ხელისუფლების „დაპყრობით პოლიტიკაზე“ და სხვ. მაგრამ მიუხედავთ ამისა წითელი არმია განაგრძობდა ყოფნას გარე—მონღოლეთში იმ მომენტამდე, სანამ უზრუნველყოფილი არ იქმნა საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის საზღვრები თეთრ გვარდიელთა თავდასხმებისაგან. დღეს საბჭოთა ხელისუფლებამ კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა იაპონიასთან და ჩინეთთან; აგრეთვე დასდო მათთან ისეთი ხელშეკრულება, რომლის ძალით ეს სახელმწიფოები ვალდებულნი არიან თავის ტერიტორიის ფარგლებში სდევნონ ყველა ისეთი პირები, რომლებიც დაიწყებენ აქტიურ მუშაობას საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ცხადია ასეთ პირობებში წითელი არმიის ყოფნა გარე მონღოლეთში არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ თვით გარე მონღოლეთი საგრძნობლად მოღონიერდა და მასთან საბჭოთა ხელისუფლებამ ის ჯერ კიდევ 1919 წელში იცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ.

გარე მონღოლეთიდან წითელი ჯარის გამოყვანით საბჭოთა ხელისუფლებამ საუცხოოდ დაადტკიცა თავისი მშვიდობიანური პოლიტიკა, დაშორებული ყოველგვარ მტაცებლობას და დაპყრობას, და ბოლო მოუღო იმპერიალისტების ცილის წამებებს. იმ იმპერიალისტების, რომლებიც შეეჩვიენ რა რომელიმე უცხოეთის ტერიტორიაზე, არას დროს მას თავის ნებით არ დასტოვებენ.

რომ წითელი არმია მშრომელთა ხალხის, განურჩევლად ეროვნობისა და სარწმუნოებისა, საუკეთესო მეგობარი და მათი ინტერესების დამცველია ამას მოწმობს აგრეთვე ის გულითადი მადლობა, რომელიც უძღვნა საბჭოთა ხელისუფლებას და თვით წითელ არმიას გარე მონღოლეთის მთავრობამ.

„უდიდესი მადლობა საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს, რომლებმაც შექმნეს დაჩაგრულთა მასების ამ ქვეყანაზე ერთად ერთი დამცველი—წითელი არმიაო“.

აი ის ღირსეული პასუხი, რომელიც გასცა თვით გარე მონღოლეთის მშრომელებმა იმპერიალისტებს მათი ცილის წამებაზე.

ე.

ახალი რადიო-ამბები

სუნ-იატ-სენის გარდაცვალება.

12 მარტს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე გარდაიცვალა ჩინეთის ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი სუნ-იატ-სენი.

თანახმად მისი სურვილისა, მას დაასაფლავებენ ჩინეთის პირველი მთავრობის სამყოფ ადგილზე 1912 წ. —ქ. პეკინში.

მისი გვამი ბალზამით იქნება შენახული. განზრახული აქვთ შეინახონ მისი გვამი—აკლდამაში. მსგავსად ლენინის გვამისა.

თანაგრძნობა საბჭოთა კავშირისაგან.

ამხ. ლიტვინოვმა საბჭოთა კავშირის სახელით დაავალა პეკინში მყოფ კავშირის წარმომადგენელს, ამხ. კარახანს—გადასცეს განსვენებულ სუნ-იატ-სენის ქვრივს შემდეგი თანაგრძნობა:

„საბჭოთა კავშირის მთავრობა წრფელ თანაგრძნობას უცხადებს პატივცემულ სუნ-იატ-სენის ცოლსა და ოჯახს.

საბჭოთა კავშირის ხალხი ღრმა სიმპატიით ადევნებდა თვალყურს ჩინეთის ხალხის გმირულ ბრძოლას, რომელსაც ხელმძღვანელობდა სუნ-იატ-სენი და იცის თუ როგორ მძიმე დანაკლისს განიცდის ჩინეთის ხალხი მისი გარდაცვალებით.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენ მამაცურად გადაიტანთ ვარამს, რომელსაც იზიარებს მრავალი მილიონი ადამიანი“.

სუნ-იატ-სენის უკანასკნელი სალამი რუსეთის ხალხს.

11 მარტს სუნ-იატ-სენმა იგრძნო სიკვდილის მოახლოება, მოიწვია თავისთან გომინდანის პარტიის პოლიტ-ბიუროს წევრები და დაავალა შეედგინა საბჭოთა კავშირის ცაკისადმი, ქვემოდ მოყვანილი მიმართვა, რომელსაც იმავ დღეს მოაწერა ხელი. მიმართვაში ნათქვამია:

„ძვირფასო ამხანაგებო! იმ დროს, როცა მე ვწევარ აქ შეპყრობილი საშინელი სენით, რომლის წინაშე უძლურია ადამიანი, ჩემი ფიქრები მოქრის თქვენსკენ, ჩემი პარტიისა და ქვეყნის ბედისაკენ.

თქვენ განაგებთ თავისუფალ რესპუბლიკების კავშირს-იმ სამემკვიდრეოს, რომელიც დაუტოვა მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს უკვდავმა ლენინმა. ამ სამემკვიდრეოს დახმარებით იმპერიალიზმის მსხვერპლები უსათუოდ მოიპოვებენ თავისუფლებას იმ საერთაშორისო წყობილებისაგან, რომლის საფუძვლები ძველიდანვე აგებულია მონობაზე, ომსა და უსამართლობაზე.

მე ვტოვებ პარტიას, რომელიც შეკავშირებული იქნება თქვენთან ისტორიულ მუშაობაში ჩინეთისა და სხვა ჩაგრულ ქვეყნების სამოლოოდ განსათავისუფლებლად იმპერიალისტური უღლისაგან. გარდაუვალ ბედის სურვილით მე უნდა დავტოვო ჩემი საქმე დაუმთავრებელი და გადავცე მათ, ვინც დარჩება ჩემი საქმის ქეშმარიტი გამძღოლი.

ამიტომ მე ვუანდერძე გომინდონის პარტიას გაანთავისუფლოს ჩინეთის ხალხი იმპერიალისტების ბრეკალებისაგან.

მე დავარიგე პარტია მუდმივ კავშირში იყოს თქვენთან. მტკიცეთ მწამს უცვლელი დახმარება, რომელსაც თქვენ დღემდის უწევდით ჩემს ქვეყანას.

გამოთხოვებისას, ძვირფასო ამხანაგებო, მე მინდა გამოვსთქვა იმედი, რომ დადგება დღე, როცა საბჭოთა კავშირი მიესალმება ძლიერ, თავისუფალ ჩინეთს და მოკავშირეს ჩაგრულ ხალხების განთავისუფლების საქმეში და ხელი-ხელ ჩაკიდებული გასწევენ გამარჯვების გზაზე.

„ბიური სალამით სუნ-იატ-სენი.“

კვირას, 15 მარტს, ამხ. ვლ. ლენინის სახელობის სახელმწიფო ხალხერო თეატრში, სრულ 12 საათზე შესდგება ტფილისის სამაზრო—ხალალაქო საბჭოთა ყრილობა.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲠᲘᲒᲘ:

1. საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ.
2. ტფილისის აღმასკომის ანგარიში.
3. სასოფლო—სამეურნეო გადასახადის აკრეფის ფორმის შესახებ.
4. ტერიტორიალურ ჯარების შედგენის შესახებ.
5. არჩევნები.
6. მიმდინარე საკითხები.

ტფილისის მე-5-თე საბჭოს წევრების და მაზრის დელეგატების შესვლა დროებით მანდატებით, მთავარ შესავალიდან.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ტფილისის სამაზრო—ხალალაქო საარჩევნო კომისია.

„ᲩᲣᲛᲐᲓ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲘᲒᲝᲡᲘ“.

11 მარტს, საფრანგეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიამ მოისმინა ერიოს მოხსენება უზრუნველყოფისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ერიომ პატიოსანი სიტყვა მოსთხოვა კომისიის წევრებს არ გამეფლავნონ და საიდუმლოდ შეინახონ მისი განცხადებები.

კომუნისტ ბერტონმა უარყო ეს მოთხოვნილება.

დიდი კამათის შემდეგ საკითხს კენჭი უყარეს, რის შედეგად წინადადება ერთხმად იქნა მიღებული ბერტონისა და სოციალისტ ფონტანიეს წინაღმდეგ, რომელმაც თავი შეიკავა კომისიამ დაადგინა შეიკრიბონ კომუნისტების გარდა. ბერტონმა განაცხადა, რომ ის თავიდან იხსნის კომისიის წევრის უფლებას.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲑᲛᲔᲑᲘ.

ᲐᲯᲐᲜᲣᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ.

დიარბეკირის რაიონში დაბანაკებულ აჯანყებულთა ჯარებმა, რიცხვით 50.000 კაცმა, სამი მხრიდან შეუტიეს დიარბეკირს. ბრძოლა გაგრძელდა რამოდენიმე საათი. აჯანყებულებმა დასტოვეს ბრძოლის ველი. მათ მოუკლეს 50, ტყვედ წაართვეს 50 კაცი.

9 მარტს, საღამოს ოსმალეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს აჯანყებულთა მიერ დაკავებული რაიონები.

ᲓᲐᲮᲣᲠᲔᲡ ᲗᲔᲗᲠᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ.

ოსმალეთის მთავრობის განკარგულებით დახურულ იქნა რუს თეთრგვარდიელთა ფურცელი „ვეჩერნაია პრესა“, რომელიც გამოდიოდა სტამბოლში.

ᲨᲔᲘᲮ-ᲡᲔᲘᲓᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲘᲙᲠᲔᲑᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ.

იტალიანებიან, რომ აჯანყებულთა ბელადი „შეიხ-სეიდი კვლავ იკრებს ძალებს და ემზადება დიარბეკირზე შეტევისთვის.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡᲘ.

ბერლინის ცნობით, გერმანიის პრეზიდენტის მოადგილედ, რეიხსტაგის არჩევნების დასრულებამდი, დანიშნულია სამპერიო სასამართლოს თავმჯდომარე **ვალტერ სიმონსი.**

სიმონსი დაიბადა 1861 წელს. პირველად ის იყო მომრიგებელი მოსამართლე. შემდეგ ის დანიშნულ იქნა საოლქო სასამართლოს წევრად და შემდეგ თავმჯდომარედ. 1911 წელს სიმონსი გადავიდა საგარეო საქმეთა სამინისტროში. შემდეგ ის იყო მთავარი მომხსენებელი გერმანიის დელეგაციიდან ჰააგის კონფერენციაზე საერთაშორისო უფლებების შესახებ.

1918 წელს სიმონსი დანიშნული იყო გერმანიიდან დელეგატად ვერსალის ხელშეკრულებაზე.

1920 წლის ივნისიდან 1921 წლის მაისამდი მას ეკავა გერმანიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. 1922 წელს სიმონსი დანიშნულ იქნა ლეიპციის სამპერიო სასამართლოს პრეზიდენტის—დებრუკის მოადგილედ.

ᲐᲕᲚᲐᲜᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔ-7-Ე ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა მიულოცა მოსკოვში მყოფ ავლანისტანის რწმუნებულს მაჰმედ ხიშმ-ხანს ავლანისტანის დამოუკიდებლობის 7 წლის თავი.

საპასუხო ნოტაში რწმუნებული აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი ავლანისტანის გულწრფელი მეგობარია, რომელიც წრფელად თანაუგრძნობდა ავლანისტანს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ.

ჰავასის საგენტოს ცნობით საფრანგეთის მთავრობა ძველებურად იცავს ენერეის ოქმს, მაგრამ უარს არ იტყვის შესწორებაზე, რომელიც წარდგენილ იქნება ამ ოქმში შესატანად და რომლის შესახებ საბოლოოდ გამოსთქვამს თავის აზრს ერთი ლიგის საბჭოს კრებაზე სექტემბერში.

ᲐᲛᲮ. ᲙᲠᲐᲡᲘᲜᲘ ᲔᲠᲘᲝᲡᲗᲐᲜ.

საფრანგეთის პრემიერმა ერიომ 12 მარტს მიიღო ამხ. კრასინი.

ᲢᲦᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ.

კვირას, 12 მარტს საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ხალხერო თეატრში გაიხსნა ტფილისის მეხუთე მოწვევის საბჭოს საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა ამხ. ლადო სუხიშვილმა, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა მიზეზი ამ საზეიმო სხდომისა, სახელდობრ, რომ ამ ზეიმის მიზეზია ამერიკავკასიის ფედერაციის სამი წლის თავიო.

ორატორი აღნიშნავს თუ როგორი მდგომარეობა იყო მეფის რეჟიმის დროს ამერიკავკასიაში, როგორ იყენენ გადაკიდებული ერთი მეორეს ყველა აქ მოსახლე ერები, იგი იგონებს სომეხ-თათართა ალეტას, ქართველთა და სომეხთა დამოკიდებულების გამწვავებას, რასაც კიდევ უფრო ამწვავებდნენ მეფის სატრაპები თავიანთი პოლიტიკით. შემდეგ ორატორი გადადის მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელების მართვა-კანონმგებლობის პერიოდზე და აღნიშნავს, რომ ამ ბურჟუაზიულ პარტიებს ჰქონდათ წვრილიმპერიალისტური ზრახვები, რის გამოც ამერ-კავკასიაში მეფის მივი ომები, დავა და ეროვნულ შუღლი იყო გამეფებული. მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო ამ დავის მოსპობა და აქ ეროვნული მშვიდობიანობის განხორციელება—ვისაც უყვარს თავისუფლება, ვინც მიილტვის ამიერ-კავკასიის ერების კულტურულ-ეკონომიური აღორძინებისაკენ, იგი უნდა დარწმუნდეს, რომ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლებით. დაასრულა ამხ. ლ. სუხიშვილმა.

ᲐᲛᲮ. ᲡᲔᲠᲒᲝ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

ამხანაგებო, ამბობს ამხ. ორჯონიკიძე, სულ რამოდენიმე დღეა, რაც დაიხურა სრულიად საკავშირო ცაკის სესია, რომელზედაც მოსმენილ იქნა ა. კ. ფედერაციის შესახებ მეტად იმვითად დასაბუთებული და სრულიად ამომწურავი მოხსენება.

დღეს შესრულდა ა. კავკასიის ფედერაციას სამი წლის თავი და ამ სამმა წელმა ურწმუნონიც კი დაარწმუნა, რომ ჩვენ მართალნი ვართ და რომ ცხოვრებამ გამამართალა ამიერ კავკასიის ფედერაციის არსებობა. მხოლოთ ინანებს შეუძლიანთ იმისი მტკიცება, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია არ არის შესაფერი ფორმა ამიერ-კავკასიის ერების დამოკიდებულებათა მოგვარებისა. მტრები, რასაკვირველია დიწყებენ ამის მტკიცებას. მაგრამ ვინ არიან ჩვენი მტრები? ჩვენი მტრები არიან მეხუთეკები და ძმანი მათნი, რომელნიც ეხლა უმნიშვნელო ძალას წარმოადგენენ.

ბოლოს, ამხ. ორჯონიკიძე ჩერდება აგრეთვე ა. კავკასიის ქვეყნების კულტურულ-ეკონომიურ მდგომარეობაზე და განსაკუთრებით ეხება ქართველ ინტელიგენციას. იგი აღნიშნავს, რომ ინტელიგენციამ თავი უნდა გაანებოს ხელისუფლებისაგან განდგომილობას ყოფნას და გულწრფელათ ამეშაოს ქვეყნის აღორძინებისათვის, თორემ, ერთი თქმულია, ბისა არ იყოს „პრანჭია ქალი ვერ გათხოვდებიო“—ისე მოუვა ჩვენს ინტელიგენციას, თუ სრულებით ზედმეტი გახდება ჩვენი ქვეყნისათვის და გადადგა ქცევა მის ზედმეტ ბარგათ.

ᲔᲠᲗᲘᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲝᲠᲝᲢᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

ამხ. ორჯონიკიძე შეჩერდა აგრეთვე ერთ მეტად საჭიროროტო საკითხზე, რომელზედაც ამხ. კალინინმა ცაკის სესიაზე ბევრი რამა სქვა. ეს არის ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“. ჩვენ გლეხს ბევრი, რამ უჭირს მათ ჩვენ უსათუოდ უნდა დავეხმაროთ. საბჭოთა არჩევნებში ჩვენ გვგეყოფ 70 პროცენტი უპარტიო, მაგრამ ეს არაა კიდევ საკმარისი. საბჭოების გარდა ჩვენ აღმასკომებშიაც უნდა შევიყვანოთ უპარტიო გლეხობა. და აი, როდესაც ჩვენ გავხსნით ქარხნებს, დავაინტერესებთ უპარტიო გლეხობას, რომ მან თითონ მოაწყოს თავისი საქმეები, როდესაც გუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარიდები დაიჭერენ ადგილს ბარების მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ უკვე განხორციელებულია ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“ და მაშინ საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობაც განმტკიცებული იქნება.

ამხ. ორჯონიკიძის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. მამია ორახელაშვილს.

ამხ. მამია ორახელაშვილი აღნიშნავს, რომ ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ინტერესები მოითხოვდენ, რომ ამ კავკასიიდან დაცული ყოფილიყო რევოლიუციის ზურგი.

ამისათვის საჭირო იყო აქ აღგვემართა მაგარი ზღუდე რითაც საერთაშორისო იმპერიალისტებს საშეალება მოეპოზოდათ სერიოზულათ ეფიქრათ პროლეტარული რევოლიუციების წინააღმდეგ გასალაშქრებლათ.

ამ მიზანს ჩვენ მივაღწიეთ კ. დ. ცა და ამიერ-კავკასიაში აღმართა ეს დადაოლახავი ზღუდე, რომელსაც ჰქვია ა. კ. დ. ერაცია.

შემდეგ ამხ. ორახელაშვილი ეხლინიშნავს. წარილ მსგავსებრივ წველობის ზრდას, როგორ შედეგს ამ. კავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურად გაერთიანების.

ჩვენში ეხლა ჩვენი პოლიტიკა მიმართულია იქეთ, რომ ჩამორჩენილი და ისტორიულათ დაჩაგრული ერები წინიოთ წინ წარმატებისა აღორძინების გზაზე.

ამ.-კავკ. ფედერაციის საფუძვლად უძევსო, ასრულებ. ამხ. მ. ორახელაშვილი, ბაკ. 26 კომეწარის სასხლი და ლენინის დაუვიწყარი აღიარებ... ამ საფუძვლებზე და ამ ყნის ცოცხალ ძალთა დამ... რებით ჩვენ ღრმა რწმენით საბოლოოო გამარჯვების ... ყვევი იმედით გავსწევთ ... აღთქმის ქვეყნისაკენ.

ამხ. ორახელაშვილის, ... ყვის შემდეგ მიიღეს რეზოლ... უცია.

„ᲩᲣᲛᲐᲓ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲘᲒᲝᲡᲘ“.

11 მარტს, საფრანგეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიამ მოისმინა ერიოს მოხსენება უზრუნველყოფისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ერიომ პატიოსანი სიტყვა მოსთხოვა კომისიის წევრებს არ გამეფლავნონ და საიდუმლოდ შეინახონ მისი განცხადებები.

კომუნისტ ბერტონმა უარყო ეს მოთხოვნილება.

დიდი კამათის შემდეგ საკითხს კენჭი უყარეს, რის შედეგად წინადადება ერთხმად იქნა მიღებული ბერტონისა და სოციალისტ ფონტანიეს წინააღმდეგ, რომელმაც თავი შეიკავა კომისიამ დაადგინა შეიკრიბონ კომუნისტების გარდა. ბერტონმა განაცხადა, რომ ის თავიდან იხსნის კომისიის წევრის უფლებას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲐᲜ.

ᲠᲐᲡ ᲮᲛᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ.

I

საბჭოთა სახელმწიფო თავის მეურნეობას, შემოსავლთა და გასავლთა წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით აწარმოებს. თავის მოკმედებაში იგი ხელმძღვანელობს წლის თავში შემუშავებულ ხარჯთა და გასავლთა აღრიცხვით, რომელსაც ბიუჯეტს ეტყვიან. საბჭოთა სახელმწიფოში ს

ესვა და სხვა სახის ბიუჯეტი: **სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი, ადგილობრივი ბიუჯეტი, რაიონული ბიუჯეტი.** რადგანაც ძნელი გასათვალისწინებელია ერთი წლის განმავლობაში მოსალოდნელი შემოსავალი და გასავალი, ამიტომ საბჭოთა კავშირში ბიუჯეტი წელიწადში ოთხჯერ ხდება.

საბიუჯეტო წელიწადი გაყოფილია ოთხ ნაწილად (კვარტალებად) ხანდიდ, რომ ასეთი დანაწილება დროებითი ხასიათისაა, მალე ჩვენ გადავალთ ნახევარ წლიან ბიუჯეტზე, შემდეგ კი ერთი წლის ბიუჯეტზე ისე, როგორც ეს მაგალითად ინგლისშია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალს შეადგენს: მოგება სახელმწიფო ფაბრიკა-ქარხნებიდან, რკინის გზებიდან, ქონების არენდა, და უმთავრესად სხვა და სხვა სახის გადასახადები, გასავალს კი შეადგენს—სახელმწიფოებრივ აპარატის, წითელ არმიისა და ფლოტის შენახვა ახალ ქარხნებისა და რკინის გზების გაყვანა, უმაღლეს სასწავლებლების, წოგნსაცავების, კურორტების და სხვა სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის დაწესებულებათა შენახვა.

რაც შეეხება **ადგილობრივ ბიუჯეტს** მის შემოსავლის ნაწილს შეადგენს სახელმწიფოს ხელში რევოლიუციის შემდეგ გადასული სახლების, ელეკტრონის სადგურების, წყალსადენების, ტრამვაის და ამგვარი დაწესებულებათა მოგება, გარდა ამისა გადასახადები შინდა აღგილობრივ მნიშვნელობის როგორიცა გადასახადი შენობებზე, გადასახადი ქარხანა-ფაბრიკებზე, სავაჭრო დაწესებულების და სხვა.

ხოლო ადგილობრივი ხარჯებია—ადგილობრივ მეურნეობის ხარჯები, წითელ არმიის ბინის ხარჯები, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის, სოც. უზრუნველყოფის, სოფლის—მეურნეობის დახმარების ხარჯები.

მთელი რიგი საკითხების და საჭიროებათა გაცალებით უკეთესათ და უმჯობესათ შესრულებულ იქნებოდა ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ვიდრე ცენტრალურ, რომელსაც არ ეცოდინებოდა ადგილობრივი საქმის ვითარება. და შესაფერად ვერ მოიქცევოდა ამა თუ იმ შემთხვევაში. სწორეთ ამ გარემოებამ გამოიწვია ადგილობრივ ბიუჯეტის შექმნა, რომლისგანაც თავის მხრივ გამოცალკევებულია რაიონული და სათემო ბიუჯეტი ასეთი ბიუჯეტი საქართველოში არას დროს არ ყოფილა. ეს ეხლა იქმნა შემოღებული.

თემის და რაიონის ბიუჯეტი.

II

ამ ბიუჯეტს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელ გლეხობისათვის, რადგანაც ამით თემს საშვალება ეძლევა დამოუკიდებლათ წარმართოს თავის ეკონომიურ მშენებლობის საქმიანობა, წინასწარ გაითვალისწინოს მოსალოდნელი შემოსავლები და განზრახული ეკონომიურ საქმიანობა, იქნება ეს ბოგირის შეკეთება თუ გაკეთება, თხრილის ამოღება თუ გზის გაყვანა, ამით თემს მეტი შესაძლებლობა ეძლევა ისე მოაწყოს თავისი საქმე, როგორც ამას თვითონ უმჯობესათ დაინახავს. ასეთი გზით ფართე საშვალება ეძლევა გლეხების თვით მოქმედებას ახალი სოფელის შენების საქმეში.

თუ დღეშდის სათემო აღმასკომები მხოლოდ ადმინისტრატიულ საქმეებით იყენენ გართულნი და მხოლოთ ამ ნიადაგზე იყო დამყარებული კავშირი ადგილობრივ გლეხობასთან, რადგანაც მიწის საკითხი უკვე მოგვარებულია და გატარებულია დღეს მას, უფრო მნიშვნელოვანი ასპარეზი ეშლება. სათემო ბიუჯეტის დაარსებით გზა ეხსნება სათემო აღმასკომების შემოქმედებით მუშაობას.

სათემო აღმასკომს ეხლა საშვალება აქვს სათავეში ჩაუდგეს სოფელში წარმოებულ საზოგადოებრივ საქმეებს. მას შეუძლია სათანადო დახმარება მიიღოს და გაფართოვოს სფერო თავის საქმიანობის სახალხო განათლების გავრცელებით და ჯანმრთელობის უზრუნველყოთ ის დარგებში, ისე სოფლისათვის სხვა საჭიროროტო საკითხები.

გ. ა.



ჩვენი სოფელი წინ მიდის.

. სოფელმა გამოიღვიძა. ის
ადგა განახლების, აღორძი-
ების გზას და მედგრათ მი-
ვეს წინ.
გადახედეთ ქართლის სო-
ფელს. ის აღარ არის ისეთი,
როგორიც იყო ამ რამდენიმე,
ულდაც სამი წლის წინათ.
ართლელმა გლეხმა დაიწყო
ავი სალათას ძოლს, შეიგრ-
ახალი ხანა და დაიწყოფა
ალ ცხოვრებას.
დიახ! სოფელმა გამოიღვი-
.
ამ რამდენიმე დღის წინათ
ამიხდა ყოფნა ერთ ერთ ქარ-
ლის სოფელ. კეირა დღე
ყო, მზიანი, თბილი.
სკოლის ეზოში მოეყარათ
ავი რამდენიმე გლეხს და გა-
ათ ბაასი.
მივესალმე და ჩავერიე ლა-
რაკეში.
ისინი ბაასობდენ არა გა-
ერვებაზე, მოხელეთა თავვა-
ულობაზე, მათ სახეზე აღარ
ო აღბეჭდილი მეუმიერი ტან-
ვა, უიმედობა. არა. ისინი იყ-
ენ მხიარულნი, იმედით უმ-
ერდნენ მომავალს. ყველაფე-
ი აინტერესებდათ მათ: თუ
ა ხდება შიგნით, ჩვენ სახელ-
იფოში, რა ხდება გარეთ,
ას აკეთებს მთავრობა. და
ალალი სხვა.
— ამ ზამთარმა ძალიან და-
ზარალა, შენი ჭირიმე, მე-
ბენება ერთი გლეხი, დიდი
ბილი მოგვაყენა ყინვამ,
ხილი გაფუქდა, ვაზსაც არ
ალაყარა ხეირი, საქონელსაც
ნო; მაგრამ ამბობენ, რომ
თავრობა უნუგეშოთ არ დაგვ-
ოვებსო, დაგვეხმარებიო.-
მე მოუყევი თუ რა დახმა-
ებას გაუწევს მთავრობა და-
ალალებულთ; ვუთხარი, რომ
თავრობამ უკვე გადასდო ამის-
ვის საჭირო თანხა. გაფაცი
ებით მიგდებდნენ ყურს გლე-
ები და სიამოვნებით ილიმე-
ოდნენ.
— ეხლა, შენი ჭირიმე, აღა-
ფერი გვიშავს გაჭირვებაშიაც
ა დაღხინებაშიაც მთავრობა
ენთან არის. ვიცით, რომ
გვაყავს ეხლა გულშემატკივარი
და ჩვენც იმედიანათ ვართ.
თუ ამ სიღარიბესაც დავაღწი-
ეთ თავი როგორმე და მოვა-
ღონეიერდით, მაშინ ხომ სულ
კარგათ წავა სოფლის საქმე.
სოფელს გაუხსნია სკოლა
და კოოპერატივი თავისივე თა-
ოსნობით, ზეიდან დაუხმარე-
ბლივ აურჩევიათ ხალხი და
გაუგზავნიათ თხოვნა გორში.
ვნახე განცხადების ასლი, „მო-
გვაშორეთ ჩარჩები, ტყავი გა-
გვაძვრეს; გვინდა სკოლა, რომ
ვისწავლოთ წერა-კითხვა და
გავიგოთ ქვეყნის ცხოვრებაო“,
ნთქვამია განცხადებაში.
ერთი სასიხარულო მოვლენა,
რომელიც უეჭველად უნდა
აღინიშნოს არის ის, რომ
ყველა ახალ დაწყებულ საქმე-
ში, ყველა დაწესებულებაში
მონაწილეობენ და მეთაურობ-
ენ ყოფილი წითელ-არმიელებ-
ი. სოფელში დაბრუნებულ
წითელ-არმიელი სათავეში უდ-
გება სოფელს და ცდილობს
სარგებლიანად გამოიყენოს ყა-
ზარმაში მიღებული ცოდნა. აი
რას ამბობენ ამ სოფლის გლე-
ხები სახლში დაბრუნებულ წი-
თელ-არმიელების შესახებ:- დი-
დი სამსახური გაგვიწია წითელ-
მა ჯარმა. ოთხი ბიჭი გავგზა-
ვნეთ ყაზარმაში და ოთხივემ
გვასახელა. ოთხივენი ძალიან
გამოგვადგენენ. სკოლაც და
კოოპერატივიც მაგათი წყა-
ლობით გვაქვს ეხლა. დასაწე-
რია რამე, გასაგზავნი ან სა-
ლაპარაკო, სულ ეგენი არიან.
აი ერთი მათგანი საღამ-საღა-
მოობით გვასწავლის წერა-
კითხვას და წიგნებსაც გვაკი-
თხავს. ძალიან ვემადლიერებით
წითელ-ჯარს.
შუადღე გადასული იყო,
გავეშურე სადგურისაკენ. სი-
ხარულიდ ამეკვსო გული.
დეე, დაინახონ ჩვენმა მტ-
რებმა, რომ საბჭოთა დროშის
ქვეშ ღონიერდება და ძლიერ-
დება ჩვენი ქვეყანა, ამის უტ-
ყუარი დამამტკიცებელია ჩვე-
ნი სოფელი.

ე. ხუციშვილი.

ქალთა დღის აღსანიშნავი საღამო მე-6 ლეგიონში.

8 მარტს აღსანიშნავი საღამოს დაწყებამდე, ლეგიონის
ლუბის დარბაზში შესდგა საზეიმო სხდომა.
დაგვიწერენ ქალთა ორგანიზაციებიდან ჯგუფ-ჯგუფათ და
ეძო მანდილოსნებიც. სხდომა გახსნილი იქნა საზეიმო მისა-
ლმებელი სიტყვით, რის შემდეგაც მრავალი მომხსენებელი
ს სახით განმარტებული იქნა—ქალთა საერთაშორისო მოძ-
ობის მნიშვნელობა.
განსაკუთრებით ხაზ გასმით აღინიშნა ქალთა საკითხის
ოგვარება საბჭოთა ხელისუფლების მიერ, მათი დანიშნულე-
ა და მოვალეობა პროლეტარული რევოლიუციაში საბჭოთა
ემშენებლობის დროს საქმიანობასთან დაკავშირებით; კრებამ
ზოლიუციის სახით ერთხმად მოუწოდა კაპიტალისტურ ქვე-
ებში მყოფ ქალებს ორგანიზაციულად დარაზმვას ჯერ პა-
ოდი და პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისთვის და
ამოსთქვეს სურვილი რათა მეტი ინტენსიური საქმიანობით
თანამშრომლონ საბჭოთა მშენებლობის საბოლოოთ განმტ-
იცებისათვის.
კრების შემდეგ ადგილობრივი ძალების მიერ დადგმულ
ქნა რევოლიუციონური ხასიათის ინსცენიროვკა—„ძველი და
ალი უმზარმა“, რამაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა მსმენე-
ებზე.

ვ. ლორთქიფანიძე.

წერა-კითხვის უცოდინაროებას გოლო ელე-ბა.

პირველი ლეგიონის 8-ვე ასეულში დიდი მუშაობაა წერა-კითხვის უცოდინარეობის აღმოსაფხვრელ-ად. ახ. ლუბეულების მოსვლისთანავე გაჩაღდა მეცადინეობა. ყოველ დღე სისტემატიურად ორ—ორი საათი აქვს დათმობილი ამ საქმეს. ასეულში დაინიშნა მასწავლებლები. ისინი დიდი გულმოდგინეთ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას.
არმიელებს დიდ პეტენიერებათ მიიჩნიათ წერა—კითხვის შესწავლა. სიხარულით ცას სწვდებიან, როდესაც დაათავებენ შმობლებისადმი წერილის წერას.
ერთ გარემოებას უნდა მიეცეს ყურადღება, თორემ შესაძლებელია შენელდეს არმიელების ასეთი ინტერესი სწავლისადმი. წერა—კითხვა თითქმის უმრავლესობას აქვს შესწავლილი. ასევეა ანგარიშეც. სამხედრო საქმესაც დიდი ყურადღებით ეკიდებიან.

პ. ზაქარიაძე.

მე-3-მე ლეგიონის საქმიანობა.

1. **სამხედრო დარგში.**
მუშაობა სისტემატიურად მიდის ამ დღეებში გაიხსნება ლეგიონის უნტროს მეთაურთა სკოლა.
2. **პოლიტიკური დარგში.**
პოლიტსაათი მიმდინარეობს ყოველ დღიურად, თანაბმად პიარო კოლექტივის მიერ მოცემული პროგრამისა მეცადინეობა კომპლექსიურ მეთოდზე სწარმოებს. შედეგი დამაკმაყოფილებელია. პოლიტ-სკოლაში მეცადინეობა მიდის კვირაში ერთხელ.
უზერხულობას ჰბადებს ის გარემოება, რომ პროგრამაში არ არის მითითებული მათ სახელმძღვანელოზე და ხელმძღვანელს უხდება რამოდენიმე წიგნებიდან ამზადოს თემა.
საჭირო იყო ან ერთ სახელმძღვანელოზე მითითება, ან და ყველა სახელმძღვანელოებით დაკმაყოფილებულიყო ბიბლიოთეკა. სწარმოებს აგრეთვე პოლიტ-მეცადინეობა უფროს და საშუალო მეთაურთა მორის.
3. **ლენინის კუთხეში.**
სწარმოებს გაზეთების და წიგნების ხმა მაღალი კითხვა-საუბარი, რომელშიაც აქტიური მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელები პოლიტ-ხელების ხელმძღვანელობით.
4. **პარტმუშაობა.**
კომუჯრედების კრებები სისტემატიურად მიდის.
დასწრება 90%-ია. ს უდ-
რის. სწარმოებს კომუჯრედის მუშაობა უპარტიო მასების პარტიაში მიზიდვის საქმეში.
5. **საკლუბო დარგში.**
მუშაობა დამაკმაყოფილებელია მართავს წარმოდგენებს ატარებს ცოცხალ გაზეთებს. კედლის გაზეთი გამოდის სისტემატიურად. გამოვიდა კედლის გაზეთის დამატება ჟურნალი „წითელი ქამანდა“.
სწარმოებს მეცადინეობა წრეებში. ბიბლიოთეკა წიგნებს აწვდის მკითხველებს შეძლების და გვარად. მხოლოდ საწარმოდგენო დარბაზი ვერ გვაქვს შეკეთებული, რადგანაც დიდ თანხას მოითხოვს. საჭიროა ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.
6. **სანიტ-დარგში.**
სანიტდარგის მხრივ ლეგიონი კარგ ნიადაგზეა დაყენებული. ავადმყოფობა ნაკლებია. სისუფთავე დაცულია. თვის დროზე ირეცხება თეთრეული და ბანაობენ წითელ არმიელები.
7. **სასკოლო დარგში.**
მიმდინარეობს წარმატებით წერა-კითხვის უცოდინარეობის ლიკვიდაცია.
საერთოდ ლეგიონის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.
შიგნ და შიგ არის ნაკლიც, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ბანაკად გასვლამდი ყოველგვარი დეფექტები გამოსწორებული იქნება და ლეგიონი საპატიო ადგილს დიაპერს მუშაობის მხრივ სხვა ნაწილების შორის.

სამხკორი მორიელი.

ჩვენი მუშაოგიდან.

6 მარტს მეთაურთა გაერთიანებულ სკოლაში შესდგა სკოლის შემადგენლობის საერთო კრება.
დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) სამნეო ნაწილის დამხმარე ჯგუფის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ. 2) რემედასის ბიუროს მოხსენება და 3) მოხსენება სარედაქციო კოლეგიისა.
პირველი საკითხის გარშემო მოხსენება გააკეთა სამნეო ჯგუფის თავმჯდომარემ ამხ. ბაქარაძემ. ამხ. შეეხო დამხმარე ჯგუფის მუშაობას და აღნიშნა, რომ ვინაიდან ჯგუფს არ ჰქონდა საჭირო ინსტრუქციები ამისათვის მისი მუშაობა მოიკოკლებდაო. მაგრამ როგორც შემდეგში გამოირკვა საკუთარი ინიციატივითაც მათ ბევრი რამ გაუკეთებიათ.
ჯგუფს მოუწყია საჯარო ვაჭრობა, გაუყიდია კვიცები და ადებული ფული გადაუგზავნია დანიშნულებისამებრ. სამნეო-ნაწილს მიუღია აგრეთვე 3355 მ. სკოლის სასადილოს მოსაწყობათ. დიდი ყურადღება მიუქცევია პურის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და სხვა მრავალი.
დაბოლო სიტყვაში მომხსენებელმა მოუწოდა ამხანაგებს, რათა ისინიც დაეხმარონ ახლად არჩეულ სამნეო ნაწილის დამხმარე ჯგუფს ცნობების მიწოდებით.
კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა ჯგუფის მუშაობა და აირჩია ახალი შემადგენლობა.
მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა „რემედას“-ის ბიუროს მდივანმა ამხ. კოკნაძემ.
ბიუროს, სკოლის ყველა ასეულებში ჩაუტარებია მოხსენებები რემედასის მნიშვნელობის შესახებ.
ამასთანავე ბიუროს შეუძენია დივიზიიდან ფასიანი ფურცლები პირველად 56 მ. 10 კაპ. აქედან გაუნაღდებიათ 45 მ. 38 კ. კურსანტების შეგებულებაში წასვლის დროს ბიუროს კიდევ გამოუტანია 250 მან. ფასიანი ფურცლები და კურსანტებს აქედან გაუნაღდებიათ 135 მ. 20 კაპ. ფურც. კურსანტებისაგან შემოსულა შეწირულების სახით 23 მ. 47 კ.
რემედასის წევრებათ ირიცხება მთელი სკოლის შემადგენლობა, და სისტემატიურად გროვდება საწევრო გადასახადი. რამდენიმე თვის განმავლობაში ბიუროს სულ დაუგროვებია 500 მან.
მომხსენებელმა მოუწოდა კრებას მოემზადონ 18 მარტისთვის რემედასის დღის ჩასატარებლად.
კრების სახელით ამხ. კოკნაძეს გამოეცხადა მადლობა და მათი მუშაობა ჩაითვალა ფრიად დამაკმაყოფილებლად.
სარედაქციო კოლეგიის მუშაობის შესახებ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კოლეგიას გამოუშვებია ჩვენი ინვრის ჩათვლით ოთხ თვიანი სამუშაო გეგმა. მომხსენებელმა თავის ბოლო სიტყვაში აღნიშნა მათი მუშაობის უარყოფითი მხარეებიც.
კამათის დროს, კურსანტებმა მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ გაზეთები არ იყვენ აღმზრდელობითი ხასიათის და მოუწოდებდენ ახალ კოლეგიას ყურადღება მიექცია უმთავრესად ამ დანაკლისისთვის.

კურსანტი ჯაში.

ᲕᲐᲠᲬᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

ახკომკავშირელთა შორის.

რა გამოაცოცხლებს წითელ-ჯარში ახკომკავშირის მუშაობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ახკომკავშირის ლიტერატურის გავრცელება ჯარში ძლიერ მოიკოკლებს. ამიტომ კავშირის წევრები სათანადოთ და თითქმის სრულიად არ იცნობენ კავშირის ცხოვრებას. თუ როგორ მუშაობას ეწევა ახალგაზრდობა სოფლებში, პარტიასთან ერთად და სხვა. ყოველივე ამის გაცნობა შეიძლება ჩვენი ორგანოს გაზეთ „სპარტაკის“ საშვალებით, რომელიც ძლიერ ცოტა ვრცელდება ჯარში. ამავე დროს თვითეული კომკავშირელს სურვილი აქვს რომ გამოიწეროს გაზეთი, რისთვისაც საჭიროა მხოლოდ უჯრედის ბიუროს ხელმძღვანელობა. ჩვენვე უნდა წავაქეზოთ უპარტიო ახალგაზრდობა გაზეთის გამოწერის საქმეში. ეს მორიგ საკითხად უნდა დავსვათ უჯრედების გაერთიანებულ კრებაზე უპარტიო ახალგაზრდობასთან ერთად. ამიტომ ხელმძღვანელებმა, თუ მათ სურთ რომ კომკავშირელები არმიელები არ მოსწყდენ კავშირის ცხოვრებას, უნდა გაავრცელონ მათში ჩვენი გაზეთები და სხვა საკავშირო ლიტერატურაც. წითელ-არმიელები კომკავშირლები არ იცნობენ არა თუ ორგანიზაციების ცხოვრებას ადგილებზე, არამედ ჩვენს უახლოეს ამოცანებსაც. ის კომკავშირელი კომკავშირელი არაა, რომელმაც არ იცის თავისი მორიგი ამოცანები, ამ საქმეში კი ჩვენ უმთავრეს დახმარებას გაგვიწევს ეს გაზეთი. ის გამოაცოცხლებს ჩვენს მუშაობას ჯარში და გახდის მას ნაყოფიერად.

ნ. თავართქილაძე.

აჭარისტანის სამხედრო კომისარიატის ცხოვრებიდან.

ჩვენც ჩავეწერეთ რემედასში, გავხდით საჰაერო ფლოტისა და ქიმმოყვარეთა საზოგადოების წევრები.

პირველ მარტს აჭარისტანის სამხედრო კომისარიატის თანამშრომლებმა, სამხედრო მგზავრებმა გამგეებისა და წითელ არმიელთა გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა მოხსენებები, რემედასის, საჰაერო ფლოტისა და ქიმმოყვარეთა საზოგადოებების მნიშვნელობასა და დანიშნულებათა შესახებ.
რემედასის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. მიქაბერიძე. მან დაწვრილებით გააცნო კრებას, თუ როგორ
დევნას განიცდიან რევოლიუციონერები ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ამხ. მოუწოდა კრებას სრული რევოლიუციონური შეგნებით ჩაწერილიყვნენ წევრებად რემედასში.
კრებამ ერთხმად განაცხადა თანხმობა.
მეორე საკითხზე ილაპარაკა ადგილობრივ პარტკომიდან გამოწვეულ ამხ. წილოსანმა. მან გააცნო კრებას, თუ როგორი როლი ითამაშეს საერ-

თაშორისო ომის დროს, საჰაერო ფლოტმა და ქიმიამ.

აღნიშნა აგრეთვე რომ მომავალ ომიანობის შემთხვევაში დიდ როლს ითამაშებს, როგორც საჰაერო ფლოტი, ისე ქიმიაცაო.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუციი:

„მოვისმინეთ რა მოხსენება საჰაერო ფლოტის და ქიმიის შესახებ ჩვენ სიამოვნებით ვეწერებით აღნიშნულ საზოგადოებების წევრებად და ყოველ მხრივ ვეცდებით ხელი შეუწყოთ ხსენებულ საზოგადოების გაძლიერებას, რაიც თავდებია მუშათა და გლეხთა ხელისუფლების თავდაცვისა და საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურად გაძლიერებისა.

გაუმარჯოს ჩვენს წითელ ფლოტს და ქიმიას“.

დასასრულ ზემოხსენებულ საზოგადოებების უჯრედის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ამხ. ვ. მიქაბერიძე, რის შემდეგ კრება დაიხურა.

ვ. ᲧᲣᲛᲔᲚᲘ.

უცხოეთის არმიებში.

ახალი ამერიკული კრეისერი.

თებერვლის დამდეგს ამერიკის საზღვაო ფლოტის შემადგენლობას კიდევ შეემატა ერთი კრეისერი „მემფისი“. მისი წყალტევა უდრის 7.500 ტონს, ეს ერთი იმ საბრძოლო ერთეულთაგანია, რომელთა დამზადების საქმე მინდობილი ჰქონდა კერძო მწარმოებლებს.

გამოცდის დროს კრეისერმა გამოიჩინა 34 ნახ. კვანძის სიჩქარე საათში. ნიუიორკის არსენალიდან კრეისერზე მძიმე იარაღების დადგმის შემდეგ ის გაემგზავრება დასავლეთ ინდოეთისაკენ.

ახალი შხამიანი აირი.

საავიაციო კომისიის სხდომაზე ამერიკის არმიის სამხედრო-საინჟენერო სამმართველოს უფროსმა განაცხადა, რომ აღმოჩენილი იქნა ახალი შხამიანი აირი, რომლის გამანადგურებელი მოქმედება ორმოცდაათჯერ აღემატება ყველა აქამდე ხმარებულ შხამიან აირების გამანადგურებელ თვისებას. აღნიშნულ აირის გამოყენების და მოხმარების დროს ავიაცია სრულიად უძლური იქნება გამოიჩინოს თავდაცვითი უნარი.

ამ უკანასკნელმა გარემოებამ გამოიწვია დიდი კამათი, რომლის დროს, ამ ცნობას ავიაციის წარმომადგენლები—ექსპერტები ენერგიულად უარყოფდენ.

ინგლისის საზღვაო შეიარაღების პროგრამა 1925 წელში.

იმ დროს როდესაც დიპლომატები თავს იქცევენ საერთო მშვიდობიანობისა და ზავის ჩამოგდების შესახებ, ინგლისის საადმირალო (საზღვაო სამინისტრო) „გამოცდის რა სტრატეგიული მოსაზრებიდან“ აუცილებლად სცნობს ახალი სამხედრო გემების დამზადებას. ინგლისის პრესა სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება, რომ სახელმწიფო ხარჯებისათვის 1925-1926 წლების სმეტა შეიცავს შემდეგ სახელმწიფო პროგრამას:

8 კრეისერები, თითეულს ექნება 100.000 ტონის წყალტევა და შეიარაღებული იქნებიან რვაოთხი დიუმიანი მძიმე იარაღებით. 8 წყალქვეშა ნავები; ავიომტკაცა; ნაღმგადამღობი; გემი—ბაზა გამანადგურებლებისთვის: 2 კანონერკა; და სტანციონერი სპარსეთის ზღვის ყურისთვის. ამ პროგრამის მოტივებათ მოყვანილია შემდეგი მოსაზრებანი: 1924-1934 წლამდე დაძველდებიან 52 კრეისერები და საჭიროა მათი ახალით შეცვლა. თითეული კრეისერის ღირებულება აღწევს 16-17 მილიონ მანეთამდე.

ნაციონალური შუღლი ფინეთის არმიაში.

ფინეთის ოფიცერთა კორპუსში დიდი ნაციონალური შუღლია ჩამოვარდნილი ფინელ და შვედელ ოფიცერთა შორის. განსაკუთრებით ეს უფრო შესამჩნევი შეიქნა უმაღლეს სამხედრო სკოლის გახსნის დროს.

ფინელებმა წამოაყენეს მოთხოვნილება, რათა სკოლაში მიღების დროს შვედელების მიმართ შემოღებული იქნეს ერთგვარი პროცენტული შეზღუდვა. ეს ნაციონალური შუღლი იმდენად გაძლიერდა ამ უკანასკნელ ხანებში, რომ ფინეთის არმიის მთავარ სარდალი იძულებული შეიქნა მოწოდებით მიემართა ოფიცერთა კორპუსისათვის სადაც აღნიშნულია, რომ შვედელების მიმართ ყოველგვარი პროცენტული შეზღუდვა საგრძნობლად დასცემს არმიის საომარ უნარიანობას. ამასთანავე მან განაცხადა, რომ ამ მოვლენის წინააღმდეგ მიღებული იქნება გადამწყვეტი ზომები. ამ მოწოდებამ უარესი შედეგები მოიტანა. პრეზიდენტის არჩევნების გამო პრესაში დიდი კამათი გამოიწვია ამ მოწოდებამ და ამ ჟამად ფინელი ოფიცერი უფრო მტრულად უყურებს შვედელ ოფიცერს.

ᲐᲛᲒᲔᲒᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

წითელ-არმიელთა ოჯახების დასახმარებლათ.

ოზურგეთის გლეხკომების კონფერენციამ დაადგინა აღმოუჩინოს დახმარება ღარიბ-გაჭირვებულთ და ჯარში გაწვეულთა ოჯახებს.

ტყეების დაცვის მიზნით.

გორის აღმასკომმა დაავალა ყველა სათემო აღმასკომებს, რომ მათ მიიღონ ზომები ტყეების მოვლა პატრონობისათვის.

გზების შეკეთება.

სოფ. ნიკორწმინდის (რაჭა) გლეხებმა დადგინეს შეაკეთონ ადგილობრივი სასოფლო გზები.

აბაშის ჰიდრო ელსადგურზე.

აბაშის ჰიდრო ელსადგურის ასაშენებლათ ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს გაცხოველებულათ.

ტყის დაწვა.

სოფ. ველისცხის (კახეთი) ახლო ტყეს გაუჩნდა ცეცხლი, რომლის ჩასაქრობათ გამოვიდნენ ადგილობრივი გლეხები.

საგჯოთა არჩევნების მიმდინარეობა.

სამხრეთ ოსეთში.

— **როკის რაიონში.** სარაიონო საბჭოში აირჩიეს 31 დეპუტატი. აქედან 15 კომუნისტია და 3 ქალი.

— **ᲙᲣᲓᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ.** სულ აირჩიეს 65 დეპუტატი. მათ შორის 33 კომუნისტია და 1 ქალი.

— **ᲥᲔᲛᲣᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ.** სარაიონო საბჭოს არჩევნები დადასრულდა. საბჭოში აირჩიეს 27 დეპუტატი. მათ შორის 7 კომუნისტია და 2 ქალი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲤᲝᲗᲘᲗᲘᲡ.

ქალ. ფოთის საქალაქო საბჭოში სულ აირჩიეს 160 დეპუტატი. აქედან 85 კომუნისტია, 24 ქალი და 75 უპარტიო.

სამხედრო ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘ.

10 მარტს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა სამი საქმე: 1-ლ ქართულ ლეგიონის წ. მ. მიხეილ კეკუსიძე კორსანტიას, კირილე ანდრიას ძე პაპასკუას და ავაკუმ უჩანის-ძე ხარჩილავასი, რომელსაც ბრალდებოდა დეზერტირობა. სასამართლოს სხდომაზე გამოიკვეთა შემდეგი: ბრალდებული კორსანტია გაქცეული ნაწილიდან გ. წ. 28 ივნისს და მხოლოდ ი. წ. 25 ოქტომბერს იქმნა შეპყრობილი და მიცემული პასუხის გებაში. ბრალდებული პაპასკუა გაქცეული ნაწილიდან წ. წლის 5 ივლისს და განაგრძობდა დეზერტირობას, სანამ არ იქმნა შეპყრობილი ი. წ. 25 ოქტომბერს. გაქცევისას მას თან წაუღია სახაზინო ნივთები, რომლის ნაწილი გაუფლანგავს.

ბრალდებული ხარჩილავა გაქცეული ნაწილიდან წ.წ. 26 ივნისს და განაგრძობდა დეზერტირობას სანამ ი. წ. 30 ოქტომბერს არ იქმნა შეპყრობილი და მიცემული პასუხის გებაში. ბრალდებულებმა იცვნეს თავი დანშაულად წაყენებულ ბრალდებებში და განაცხადეს, კორსანტიამ და ხარჩილავამ, რომ მათ სახლში წასვლა ნებადაურთველად აიძულა ოჯახურ მდგომარეობამ, ვინაიდან არ ყავდად მუშა ხელი, მხოლოდ პაპასკუამ განაცხადა, რომ მას არავითარი მიზეზი გაქცევის არ ქონდა და ყოველივე ეს ჩადიდინა შეცდომით. სასამართლომ დამტკიცებულად სცნო მათზე წაყენებული ბრალდებები და მიუსაჯა ბრ. კორსანტიას სასჯელათ შეერთების სახით თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით 6 თვით და 5 მანეთი ქონების ნაწილის კონფისკაცია.

ბრ. პაპასკუას სასჯელათ შეერთების სახით თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით 5 თვის ვადით და 5 მანეთის ქონების ნაწილის კონფისკაცია.

ბრ. ხარჩილავას თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით 4 თვის ვადით და 5 მანეთის ქონების ნაწილის კონფისკაცია.-

ᲒᲜᲘᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲔᲑᲘ.

— **სამხედრო ᲝᲠᲝᲞᲘᲠᲐᲪᲘᲐ.** 28 მარტისათვის ტფილისში მოწვეულია საქართ. სამხ. კოოპერატივის, „ᲔᲒᲙᲐᲒᲠᲣᲖ-ᲘᲡ“ რწმუნებულთა ყრილობა.

— **ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ.** წყლის ფულის შეტანის გასაადვილებლათ ქალაქის მეორე ნაწილში დაარსდა წყლის ფულის გადასახადის შესატანი განყოფილება.

— **ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა პრეზიდიუმთან დაარსებულ იქნას საუწყებო აღრიცხვის განყოფილება.

— **ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲡ,** სააქციონერო საზოგადოებად გადასაკეთებლათ ტფილ. აღმასკომმა აირჩია ცალკე კომისია ამბ. გავაშელის, მესხის, თუღაევის, სტეფანოვის და ქაკარაევს შემადგენლობით.

— **ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ** აღმასკომისა და მილიციის შენობების შესაკეთებლათ ტფ. აღმასკომმა გადასდო 2.490 მან.

— **ᲡᲐᲥ. ᲒᲚᲔᲮᲙᲝᲛᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.** გლეხკომების ცენტრ. ბიუროს განზრახული აქვს აპრილის შუა რიცხვებში მოიწვიოს სრ. საქ. გლეხკომების ყრილობა.

— **ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ.** ამ ჟამად ტფილისში ითვლება 18 მომქმედი შრომის კოლექტივი.

— **ᲬᲘᲤᲚᲘᲡ ᲗᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲒᲕᲜᲐ.** მიწად-მოქმ. კომისარიატმა გერმანიაში გაგზავნა 70 კილო (კილო 2 ნახევარი გირვანქაა) წიფლის თესლი.

— **ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲝᲜᲓᲘᲡ.** ტრამვაის სახელოსნოებმა გამოუშვეს 4 ახალი ტრამვაის რონდოა.

— **ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ.** თებერვლის განმავლობაში ავეკალის წყალსადენმა მიაწოდა ქალაქს 30 მილიონ ვედრეზე მეტი წყალი.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ახალი საშუალება ᲰᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲘᲡ მიწასთან დამოკიდებულებისათვის.

ინგლისში ამ ამად გამოიგონეს ჰაეროპლანის დასაკავშირებლად მიწასთან ძლიერ საინტერესო საშუალება.

მიწაზე აღმართავენ ორ საკმაოდ მოგრძო ჯოხებს, რომელთა შორის გაბმულია ბაწარი კონვერტით. ფაბლა მფრინავი ჰაეროპლანი გადმოისვრის ბაწარს, რომელზედაც მიმაგრებულია ჯოხი. ეს ჯოხი უპარდაპირდება კონვერტს ჩაჰკიდებს გაზისებურ კბილებს კონვერტს და გაიტაცებს ჰაეროპლანისაკენ. მთელი ეს საშუალება ქვევიდან ჰაეროპლანზე კონვერტის გადასაცემად იმდენად ადვილი და უბრალოა, რომ ერთ კაცს თამამად შეუძლია მ-სი გადატანა.

ამ ახალ საშუალებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება სამხედრო ოპერაციების დროს, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც შეუძლებელია ჰაეროპლანთან რადიოს საშუალებით კავშირის დაჭერა და სადაც არ შეიძლება ჰაეროპლანის ძირს დაშვება.

ამის გარდა ჰაეროპლანი აღჭურვა კარგავს დროს მიწაზე დაშვებისა და კვლავ აფრენისათვის, რაც დაეჩქარებს ცნობების მიწოდების საქმეს.

ᲰᲐᲔᲠᲝᲞᲚᲐᲜᲘ — ᲬᲧᲚᲘᲡ ᲗᲠᲐᲜᲡᲠᲝᲢᲘ.

ერთ სპორტსმენს, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფიქრად მოუვიდა გადალიერილ თავისი მოტორიანი ნავის სიჩქარე მეტად ორიგინალური საშუალებით. აღნიშნულ ნავს, ერთის მაგივრად გაკეთებული აქვს ორი ხრახნა. იქ, სადაც მოთავსებულია მესაპის დასაჯდომი ადგილი ნავს აქვს გამობერილი ნაწილი. მისი ნახვრეტი მიმართულია ნავის ცხვირისაკენ და თანდათან ვიწროვდება ხრახნ-საპეებამდე. როგორც კი ნავი მოუმატებს სიჩქარეს, მ. პირდაპირ ქარი გადის ამ ნახვრეტში და თავისი ჩქარი ნაკადით დიდ დაწოლას ახდენს ხრახნილის ქარულებზე და ძალერ ჩქარა ატრიალებს მათ.

ასეთი საშუალების გამონახვით, სპორტსმენმა საგრძნობლად გაადიდა თავისი მოტორიანი ნავის სიჩქარე.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ამხ. Ლ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔᲡ—შემოიარეთ რედაქციაში.

ამხ. ᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢ Ნ—ს. თქვენი კორესპონდენცია „საერთაშ. ... ...